



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიძე”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

“ 21 ” 12 “ 2018 წელი

N 73/36

ვგზ: N:1

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის
ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესახებ	3
აუდიტის დასკვნა	7
1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური აუდიტის პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	8
1.1 არაფინანსური აქტივების ზრდა	8
1.2 ხარჯები.....	14
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა.....	18
2.1 სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი.....	18
2.2 ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი	18
2.3 პროცენტი საშინაო ერთეულებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა.....	19
2.4 სოციალური დახმარება – სასაქონლო ფორმით	20
2.5 არაერთგვაროვანი მიდგომა	20
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასება	24
4. სახელმწიფო სახაზინო სამსახური	25
აუდიტორთა ხელმოწერა.....	27

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესახებ

საქართველოს დედაქალაქი თბილისი – თვითმმართველი ქალაქია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსი გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფს ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით თბილისის მართვას.

თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით. თბილისის ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად. ადმინისტრაციული ერთეულია რაიონი, რომელიც არ არის თვითმმართველი ერთეული.

თბილისის მერია (თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგეობები) არის თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას.

თბილისის მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. მას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹, სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები სრულდება საკასო მეთოდით. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2018 წლის 28 თებერვლის განკარგულებით², ცნობად მიიღო ინფორმაცია 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ და წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს³. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა აღნიშნულ დოკუმენტში ასახული მონაცემების შეფასება სისრულის, სიზუსტისა და კლასიფიკაციის თვალსაზრისით. კერძოდ, აუდიტის მიზანი იყო დასკვნის გაცემა – რამდენად სწორად მიეწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შემდეგ საკითხებზე:

- 1) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული შემოსულობების და გადასახდელების სისრულე;
- 2) შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების სიზუსტე, ფაქტობრივ საბიუჯეტო პარამეტრებთან შედარებით;

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

² №18.35.149; 28.02.2018.

³ წერილი №01-01180592295, 28.02.2018.

საბიუჯეტო გადასახდელების მუხლობრივი კლასიფიკაციის შესაბამისობა, მათი მიზნობრიობისა და შინაარსის მიხედვით.


გამომდინარე აქედან, ფინანსურმა აუდიტმა მოიცვა 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული შემოსულობები 855 მლნ ლარის და გადასახდელები 826 მლნ ლარის ოდენობით. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი №1. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
შემოსულობები	837,472.6	855,436.5	102.1%
<i>შემოსავლები, მათ შორის:</i>	771,072.6	787,200.7	102.1%
გადასახადები	260,000.0	256,944.2	98.8%
გრანტები	347,528.3	347,711.5	100.1%
სხვა შემოსავლები	163,544.3	182,545.0	111.6%
არაფინანსური აქტივების კლება	65,000.0	66,194.9	101.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	1,400.0	2,040.4	145.7%
ვალდებულებების ზრდა	0	0.5	
გადასახდელები	843,134.5	825,933.4	98.0%
ხარჯები	591,153.4	580,885.5	98.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	117,576.8	111,741.6	95.0%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	129,223.1	128,911.1	99.8%
ვალდებულებების კლება	5,181.2	4,395.2	84.8%
ნაშთის ცვლილება	-5,661.9	29,503.2	

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2017 წლის ბიუჯეტში მაღალი წილით გამოირჩევა შემოსავლები, რომელიც შემოსულობების 92%-ია. თავის მხრივ ბიუჯეტის შემოსავლების 40%-ზე მეტს გრანტების სახით მიღებული შემოსავლები შეადგენს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში მნიშვნელოვანი წილი - 70 % უჭირავს ხარჯებს:

დიაგრამა №1. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)



- შრომის ანაზღაურება 81,941
- საქონელი და მომსახურება 117,445
- პროცენტი 1,698
- სუბსიდიები 99,772
- გრანტები 491
- სოციალური უზრუნველყოფა 156,383
- სხვა ხარჯები 123,155

2017 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯების შედარება შესაბამის გეგმურ მაჩვენებლებთან, ნაჩვენებია №2 ცხრილით:

ცხრილი №2. მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა-ფაქტის შედარება (ათასი ლარი)

ხარჯები	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
შრომის ანაზღაურება	82,228	81,941	99.7%
საქონელი და მომსახურება	122,913	117,445	95.6%
პროცენტი	1,698	1,698	100.0%
სუბსიდიები	100,575	99,772	99.2%
გრანტები	495	491	99.3%
სოციალური უზრუნველყოფა	156,698	156,383	99.8%
სხვა ხარჯები	126,546	123,155	97.3%

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია და შესაბამისად, შესრულება წარმოდგენილია პროგრამულად⁴. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული. მისი ამოსავალი წერტილი მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგებია და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლობზე გადამწყვეტილი რესურსები. კერძოდ, მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამებს, რომლითაც ფინანსდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და მოვლა - შენახვის, ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების შექმნის, გამწვანების, გარე განათების, სოციალური, კულტურული, ბიზნესის სტიმულირების, ახალგაზრდული და სხვა ღონისძიებები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასახულია შემდეგი ინფორმაცია:

- | ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- | ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- | ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- | პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებები, როცა შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- | ინფორმაცია სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდა ამისა, ანგარიში იძლევა ინფორმაციას წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების შესახებ. ანგარიშით წარმოდგენილია კონკრეტული პროექტების დეტალური აღწერა და მიღწეული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.

⁴ პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში.

ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების პროცესის მიმოხილვა

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მართვისა და კოორდინირებისათვის პასუხისმგებელია მერიის საფინანსო სამსახური⁵. დამტკიცებული დებულების⁶ მიხედვით, ბიუჯეტის შესრულების მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

-)/ ამუშავებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მაჩვენებლების სტატისტიკურ-საინფორმაციო მონაცემებს. უზრუნველყოფს დადგენილი წესით მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებას და მიწოდებას;
-)/ ადგენს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლების მიხედვით;
-)/ დადგენილი წესის თანახმად, ამზადებს თბილისის მერიის საბიუჯეტო ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს;
-)/ იღებს და ამუშავებს მხარჯავი დაწესებულებების (მერია, რაიონული გამგეობები, სსიპ-ები, ა(ა)იპ-ები) საბიუჯეტო ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს;
-)/ დადგენილი წესის მიხედვით, ახდენს მხარჯავი დაწესებულებების ვალდებულებების რეგისტრაციას და რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებების შესაბამისი საგადახდო მოთხოვნის თანხის გადახდას;
-)/ კომპეტენციის ფარგლებში, უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევს, მხარჯავ დაწესებულებებს და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა ორგანიზაციებს საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგების გაუმჯობესებისა და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე;
-)/ ადგენს თბილისის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვასა და შესრულების წლიურ ანგარიშებს, რომლებსაც წარუდგენს თბილისის მთავრობას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საფინანსო საქალაქო სამსახურს გააჩნია საბიუჯეტო, სახაზინო და აღრიცხვის განყოფილებები, რომლებიც სხვა მხარჯავ დაწესებულებებთან, მათ შორის, რაიონული გამგეობების საფინანსო ორგანოებთან ერთად, ახორციელებენ ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. გადასახდელების საბოლოო დადასტურებას, აღებული ვალდებულების და დარიცხული ოპერაციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო სახაზინო სამსახური. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების სრული ციკლი ნაჩვენებია სქემით:

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი „უ“.

⁶ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65 დადგენილება (2017 წლისათვის მოქმედებდა აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტი).

სქემა №1. ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება



აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური აუდიტი. აუდიტორული მოსაზრება გაიცა აუდიტის ობიექტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

1. ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.
2. ბიუჯეტის ბალანსი.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (დანართი №1).
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში (დანართი №2).
5. ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (დანართი №3).
6. ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის მიერ 2017 წელს მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები (დანართი №4).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური აუდიტის პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 არაფინანსური აქტივების ზრდა

გარემოება: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია ძირითად აქტივებს შემდეგნაირად განმარტავს: „ძირითადი აქტივები არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს“.

არაფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია იყოფა 4 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, ფასეულობები, არაწარმოებული აქტივები. აქტივების შეძენა მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, შემფასებელთა, აუქციონერთა და დილერების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, ასევე პროექტის მომზადების/პროექტირების ხარჯები, აქტივის შეძენასთან დაკავშირებული მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯები და სხვ.

არსებული ძირითადი აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად, წარმოადგენს კაპიტალურ შეკეთებას და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივების შეძენა. კაპიტალურ შეკეთებაში იგულისხმება აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და გაფართოება, რომელიც წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და ზრდის აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, სიმძლავრეს ან ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების პერიოდს.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლის შესრულება 78,790.3 ათასი ლარია⁷.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა ახალი გარე განათების სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოები, ქ. თბილისის მასშტაბით⁸. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, სამუშაოები თბილისის სხვადასხვა მისამართზე ითვალისწინებდა 730 ახალი საყრდენი ბოძის მოწყობას, ასევე ახალი და არსებული საყრდენებისა და კედლების გამოყენებით 2000 ერთეული სხვადასხვა სიმძლავრის სანათი წერტილის დამონტაჟებას. ხელშეკრულების საკასო ხარჯმა შეადგინა 671.7 ათასი ლარი. 2017 წელს მუნიციპალიტეტის მერიამ მიმწოდებელს გადაურიცხა 508.9 ათასი ლარი.

⁷ აღნიშნული მუხლით მუნიციპალიტეტი აფინანსებს გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის, სატელეფონო და საინფორმაციო ხარჯებს, იჯარის ქირას, სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ხარჯებს და სხვ.

⁸ NAT170000571.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა გასამწვანებელი და გამწვანებული ტერიტორიების შემოღობვის სამუშაოები⁹. სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად, შემოღობვისათვის დაბეტონებულია 1588 ერთეული ლითონის მილი და მოწყობილია ეკლიანი მავთული. სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 38.0 ათასი ლარი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების საევაკუაციო გეგმების შედგენის მომსახურება¹⁰. გეგმები შემუშავდა ორი ობიექტისათვის და ხელშეკრულების საკასო ხარჯი 1.3 ათასი ლარია. საევაკუაციო სქემების ღირებულებამ 0.5 ათასი ლარი და 0.8 ათასი ლარი შეადგინა.

გარე განათების მოწყობის, ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოებისა და საევაკუაციო გეგმების შინაარსი აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კერძოდ, აქტივების ღირებულება აღემატება 500 ლარს, უწყვეტად გამოიყენება მომსახურების პროცესში, ექსპლუატაციაშია ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში. ამდენად, ანგარიშსწორებისას მიზანშეწონილი იყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გამოყენება.

საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილი ფორმის შესაბამისად, „საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის“ მუხლის შესრულება შეადგენს 868.8 ათას ლარს.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები, კერძოდ, ხანძარსაქრობი სისტემა, მონტაჟით¹¹. ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო არსებული სამისამართო კვამლის დეტექტორების და საკაბელო ინფრასტრუქტურის აღდგენა, სამისამართო ხელის ღილაკისა და სირენის გადაპროგრამება. გარდა ამისა, უნდა განხორციელებულიყო არსებულ პანელთან სრულად თავსებადი კვამლის ახალი ოპტიკური დეტექტორების და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო პროგრამებისა და მოწყობილობების მიწოდება, თანმდევი მონტაჟით.

მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, შესყიდვის ობიექტის ღირებულებამ შეადგინა 66.7 ათასი ლარი. დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მიწოდებული და დამონტაჟებულია 257 ერთეული კვამლის ახალი ოპტიკური დეტექტორი, არსებულ პანელთან სრულად თავსებადი

⁹ NAT170002566 .

¹⁰ CMR170174430.

¹¹ NAT170010946.

12 ერთეული სამისამართო ხელის ღირებულება, არსებულ პანელთან სრულად თავსებადი 12 ერთეული სამისამართო მანათობელი გარე გამოყენების სირენა და სხვ. აღნიშნული მოწყობილობები ერთიანი სისტემაა, დაკავშირებულია არსებულ აქტივთან და ძირითადი საშუალებაა. ამასთანავე, ობიექტის მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია იძლევა ახალი აქტივის გამიჯვნის საშუალებას, კერძოდ, მისი ღირებულება 61.1 ათასი ლარია. გამომდინარე აქედან, აქტივის შესყიდვა ექვემდებარებოდა დაფინანსებას „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით.

ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის მიერ შეძენილია შენობის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება¹². შესყიდვის ობიექტის ღირებულება დაფინანსდა 4.2 ათასი ლარით. შესრულებული სამუშაოს წარმოდგენილი აქტის შესაბამისად დგინდება, რომ არსებული ხანძარსაფრთხილმდეგო სისტემის გაწმენდაზე, შემოწმებასა და ტესტირებაზე დახარჯულია 1.1 ათასი ლარი. დანარჩენი 3.1 ათასი ლარით შენობის მეორე სართულზე მოწყობილია 12 ერთეული ახალი დეტექტორი, 2-2 ერთეული ხელის და ხმამაღლა მოლაპარაკე მაუწყებელი და სხვ. აღნიშნული წარმოადგენს აქტივს და მიზანშეწონილია დაფინანსებულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით.

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი. ნაძალადევის რაიონმა შეისყიდა ინფრასტრუქტურისა და იერსახის მოწესრიგების, ასევე სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულებების შესრულების საკასო ხარჯი 188.8 ათასი ლარია, რომელიც დაფინანსდა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლით¹³. ამდენად, მხარჯავმა დაწესებულებამ ჩათვალა, რომ შესრულდა მხოლოდ მიმდინარე შეკეთების სამუშაოები და ტერიტორიას მუნიციპალიტეტი არ განკარგავს.

ტენდერების მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოების აქტების ანალიზი მიუთითებს, რომ შესაძლებელია შესრულებული იყო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებიც (ძირითადი აქტივი). ამასთანავე, სამუშაოები შესრულდა მუნიციპალურ ობიექტებზე, კერძოდ:

- ზღვის უბნის დასახლებაში სკვერის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები; კიბის მოაჯირისა და ბეტონის ბილიკის მოწყობა¹⁴;
- ჩარგლისა და ზიგზაგის ქუჩის დამაკავშირებელი ბეტონის ბილიკის, კიბისა და მოაჯირის მოწყობა; საბავშვო ბაღის ლითონის ღობის მოწყობა; მ/ს „ღრმაღელეს“ გვერდით მდებარე სკვერის იერსახის მოწესრიგების სამუშაო¹⁵;

¹² CMR170136089.

¹³ NAT170006281 – 73.9 ათასი ლარი; NAT170006283 – 75.0 ათასი ლარი; NAT170006666 – 39.9 ათასი ლარი.

¹⁴ NAT170006281.

¹⁵ NAT170006283.

- მ/ს „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელი კიბის მოწყობა და სხვ.¹⁶.

გამომდინარე აქედან, ნაძალადევის რაიონმა არასწორად გამოიყენა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლი ყველა გადასახდელისათვის და არ გამოიჯნა „არაფინანსური აქტივების ზრდის“, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“, ასევე „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლების შესაბამისად¹⁷.

სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები. „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები“ მოიცავს: საოჯახო მეურნეობებზე გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, საოჯახო მეურნეობებზე ან მათ მომსახურე საბაზრო საწარმოებზე გაცემული ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, არამომგებიანი დაწესებულებებისთვის გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, საწარმოების მიერ კაპიტალის ფორმირების მიზნით სახელმწიფო ერთეულის მიერ განხორციელებულ გადახდებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების დაზიანების კომპენსაციის ხარჯს და სხვადასხვა არაკლასიფიცირებულ კაპიტალურ ხარჯებს¹⁸.

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამისად, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლის შესრულება 81,232.2 ათასი ლარია. აღნიშნული მუხლით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების, შენობა-ნაგებობების, ეზოების კაპიტალური მოწყობა-შეკეთების სამუშაოებს, რომლებიც არ იმყოფება მუნიციპალიტეტის განკარგვაში.

2017 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონში შესრულდა საინგილოს მეხუთე შესახვევისა და სომხეთის ქუჩიდან კიკეთის ქუჩის ბოლომდე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 372.6 ათასი ლარი¹⁹. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული სამუშაოებისთვის გადარიცხული თანხები გაატარა მუხლში – „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები“. ამდენად, მხარჯავმა დაწესებულებამ ჩათვალა, რომ შესრულდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ტერიტორიაზე, რომელიც არ იმყოფება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში. ტენდერების მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოების აქტების ანალიზი კი მიუთითებს, რომ სამუშაოები შესრულდა მუნიციპალურ ობიექტებზე. ამდენად, სამუშაოების ანაზღაურებისას მიზანშეწონილი იყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გამოყენება.

¹⁶ NAT170006666.

¹⁷ იმის გამო, რომ სატენდერო დოკუმენტაციასა და სამუშაოს შესრულების მასალებში არ არის წარმოდგენილი ტერიტორიების ზუსტი მინიშნებები (წითელი ხაზები), აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო ხარჯების ზუსტი გამოიჯნა და გაანგარიშება.

¹⁸ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.

¹⁹ NAT170004997, NAT170004995.

2. 2017 წელს ისნის რაიონის გამგეობამ შეისყიდა საგზაო სამუშაოები, ღირებულებით – 1,273 ათასი ლარი²⁰. შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლიდან. ამდენად, მხარჯავმა დაწესებულებამ ჩათვალა, რომ შესრულდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ტერიტორიაზე, რომელიც არ იმყოფება მუნიციპალიტეტის განკარგვაში. ტენდერების მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოების აქტების შინაარსი მიუთითებს, რომ სამუშაოები შესრულდა არა მხოლოდ საცხოვრებელი ბინების ეზოებში, არამედ ქუჩებსა და გზებზეც, მაგალითად:

- გზის მოასფალტების სამუშაოები ჰამლეტ გონაშვილის ქუჩაზე, ჟონეთის ქუჩაზე – სომხეთის ქუჩიდან ნიაზის II შესახვევამდე, ბელეთის ქუჩაზე – სომხეთის ქუჩიდან ბელეთის ქუჩის ბოლომდე, თეძამის ქუჩაზე – წურწუმის, ეთერ კაკულიას I, ბერი გაბრიელ სალოსის IV, მუჯირიშვილისა და უჯარმის ქუჩის შესახვევებში და სხვ.²¹.
- დ. ერისთავის ქუჩის და საინგილოს ქუჩის შემაერთებელი მონაკვეთის მოასფალტების სამუშაოები²².
- გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჟონეთის ქუჩაზე – ნიაზის II შესახვევიდან ჟონეთის №67-მდე, სპანდარიანის ქუჩის და შირაქის ქუჩის შესახვევებში, აფშინაშვილის ქუჩაზე და სხვ.²³

გამომდინარე აქედან, აღნიშნული სამუშაოების ღირებულების სრულად მიკუთვნება „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლში არასწორია. მიზანშეწონილი იყო გადასახდელების გამოიყენა და სამუშაოების ნაწილის „არაფინანსური აქტივის ზრდის“ მუხლით დაფინანსება²⁴.

3. გლდანის რაიონმა შეისყიდა ავჭალა-1-ის დასახლებაში (ყოფილი მუხიანის სამხედრო დასახლება) საკანალიზაციო გარე ქსელის და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები²⁵. ხელშეკრულების შესრულების საკასო ხარჯია 745.0 ათასი ლარი, რომელიც ანაზღაურებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლით. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ ხელშეკრულების შესაბამისად მოწყობილია საკანალიზაციო ქსელი, ღირებულებით – 599.0 ათასი ლარი, ასევე სანიაღვრე ქსელი ქობისა და ღვალაძის ქუჩებზე, ღირებულებით – 146.0 ათასი ლარი.

სანიაღვრე ქსელი ძირითადი აქტივია, მოწყობილია მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებულ ტერიტორიაზე. ამდენად, დაფინანსება უნდა გასულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით.

²⁰ DAP160000005, NAT170002016, NAT170009702.

²¹ DAP160000005.

²² NAT170009702.

²³ NAT170002016.

²⁴ იმის გამო, რომ სატენდერო დოკუმენტაციასა და სამუშაოს შესრულების მასალებში არ არის წარმოდგენილი ტერიტორიების ზუსტი მინიშნებები (წითელი ხაზები), აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო ხარჯების ზუსტი გამოიყენა და გაანგარიშება.

²⁵ NAT170002811.

4. 2017 წელს ისნის რაიონის გამგეობამ შეისყიდა საინგილოს ჩიხის №5-ში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა სახელობის მემორიალის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 39.8 ათასი ლარი, აგრეთვე იალბუჯის ქუჩა №15-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა, ღირებულებით – 58.2 ათასი ლარი²⁶. შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლიდან. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა სახელობის მემორიალი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა; ასევე იალბუჯის ქუჩაზე განხორციელდა ქალაქის საერთო სარგებლობის ქუჩის შემაკავებელი კედლის აღდგენა-შეკეთება. ამდენად, აღნიშნული თანხის გადახდა უნდა ასახულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში.

5. თბილისის მთავრობა აფუძნებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ამტკიცებს მათ წესდებებს (დებულებებს). მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და მუნიციპალიტეტის 100-პროცენტისა და წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოს, თბილისის ქონება სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტის ან თხოვების ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით²⁷. ამ შემთხვევაში ქონების მუნიციპალური კუთვნილება არ იცვლება.

ა) ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 2017 წელს შეისყიდა №87 ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობის და გადახურვის, №26 ბაგა-ბაღის შენობის საყრდენი კედლის და სახანძრო კიბის, №163 საბავშვო ბაღის ეზოს და გარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები²⁸, ღირებულებით – 364.6 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლიდან.

ბ) მუნიციპალიტეტის მერიამ საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების კეთილმოწყობის სამუშაოები ასევე „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლიდან დააფინანსა. მიმწოდებლებისათვის 2017 წელს ანაზღაურებულია სულ 1,793.2 ათასი ლარი²⁹. გარდა ამისა, იმავე მუხლიდან შესყიდულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სხვადასხვა კულტურული დაწესებულების შენობების რეაბილიტაციის, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულებების 2017 წლის საკასო ხარჯი 500.6 ათასი ლარია³⁰.

გ) ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ზაჰესის №5 და პეტრე ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლებმა შეისყიდეს შენობების კაპიტალური შეკეთების საპროექტო

²⁶ DAP170000033, SPA160028893.

²⁷ „საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 75, მუხლი 122¹.

²⁸ NAT 170004128, NAT 170004127, NAT 1700005523.

²⁹ NAT170006754, NAT170005829, NAT170006753, NAT170009185.

³⁰ NAT170001293, NAT170007038, NAT170007359, NAT170008519.

დოკუმენტაცია, ღირებულებით, შესაბამისად, 4.0 ათასი ლარი და 4.2 ათასი ლარი.
დოკუმენტაციის მიწოდება დაფინანსებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლით.

არსებული ინფორმაციით, საბავშვო ბაღების, სახელოვნებო და კულტურული დაწესებულებების შენობები მუნიციპალური საკუთრებაა. შესაბამისად, „სხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლის ნაცვლად, ანგარიშსწორებისას მიზანშეწონილი იყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გამოყენება.

სხვა საოფისე ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2016 წელს „სხვა საოფისე ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის“ მუხლით შეისყიდა ოფისისათვის განკუთვნილი სხვადასხვა წარწერა და სიმბოლო, სამსახურის დასახელების აღმნიშვნელი ასოები და მერიის ლოგო, საერთო ღირებულებით – 2.3 ათასი ლარი³¹. მათ შორის, კედელზე მოსაწყობი ლოგოს ღირებულებამ შეადგინა 1.1 ათასი ლარი. ლოგო თბილისის სიმბოლოებით ძირითადი აქტივია, რომლის შესყიდვა უნდა დაფინანსებულიყო „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ მუხლით.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დანართ №3-ში („ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“) – „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 613.5 ათასი ლარით, ხოლო „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ და შესაბამისად, „სხვა ხარჯების“ მუხლები – 3,243.4 ათასი ლარით. სულ „ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 3,856.9 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი.

დანართ №4-ში („ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის მიერ 2017 წელს მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები“) – მხარჯავი დაწესებულების „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ და შესაბამისად, „სხვა ხარჯების“ მუხლები გაზრდილია 375.9 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი.

1.2 ხარჯები

გარემოება 1: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი იყოფა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ და „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლებად. „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები“ მოიცავს „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლს, რაც გულისხმობს საბაზრო წესით მწარმოებლებიდან საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელიც პირდაპირ საოჯახო მეურნეობებზე გადანაწილდება საბოლოო მოხმარებისათვის, გარდა სოციალური დახმარებებისა.

³¹ NAT160003561.

„სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები“ მოიცავს საოჯახო მეურნეობებზე გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, საოჯახო მეურნეობებზე ან მათ მომსახურე საბაზრო საწარმოებზე გაცემული ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი. დიდუბის რაიონმა დაზიანებული შენობა-ნაგებობების, აივნების, პარაპეტების ნაწილობრივი დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების, სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანის და სხვა თანმდევი სამუშაოების შესყიდვაზე გააფორმა 2 ხელშეკრულება³². ხელშეკრულებების საკასო ხარჯი 75.5 ათასი ლარია, რომელიც გაცემულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ სამუშაოები შესრულებულია მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებულ ქონებასა და ტერიტორიებზე. გამომდინარე აქედან, ხარჯები ექვემდებარებოდა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლით ანაზღაურებას.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დანართ №3-ში („ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“) – „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 75.5 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ და შესაბამისად, „სხვა ხარჯების“ მუხლები.

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლის შესრულება 36,750.2 ათასი ლარია. აღნიშნული მუხლით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-შეკეთებას, აგრეთვე დაზიანებული შენობა-ნაგებობების, აივნების, პარაპეტების ნაწილობრივი დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების, სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანის და სხვა თანმდევი სამუშაოებს.

ისნის რაიონმა შეისყიდა სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები რაიონის ტერიტორიაზე. ხელშეკრულებების შესრულების საკასო ხარჯი 2017 წელს 276.8 ათასი ლარია, რომელიც დაფინანსდა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლით³³. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კონკრეტულ მისამართებზე განხორციელდა სანიაღვრე ქსელის მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული სამუშაოები მიკუთვნებულია საოჯახო მეურნეობებს. ტენდერების მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოების აქტების შესწავლით ირკვევა, რომ მოწყობილია ახალი ან არსებული სისტემების

³² NAT170004694; NAT170000121.

³³ DAR160000006 – 89.8 ათასი ლარი; NAT170007879 – 187.0 ათასი ლარი.

დამაკავშირებელი ქსელები, რომელიც თავისი შინაარსით არაფინანსური აქტივია. ამდენად, ხარჯი უნდა გაწეულიყო „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლით.

- ქ) ჩუღურეთის რაიონმა შეისყიდა ქუჩებსა და საცხოვრებელი სახლების ეზოებში სანიაღვრე და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები³⁴. ხელშეკრულება დაფინანსებულია 94.9 ათასი ლარით, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლით. შესრულებული სამუშაოების აქტების შესწავლით დგინდება, რომ სარემონტო და ქსელის მოწყობის სამუშაოების გამიჯვნა შესაძლებელია. კერძოდ, არსებული ქსელის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ღირებულება შეადგენს 14.9 ათას ლარს, ხოლო 80.0 ათასი ლარით მოწყობილია ახალი ან არსებული სისტემების დამაკავშირებელი ქსელები. გამომდინარე აქედან, 80.0 ათასი ლარი უნდა დაფინანსებულიყო „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლით.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დანართ №3-ში („ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“) – „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 356.8 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 2: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამა – „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში“, ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ფულადი დახმარების გამოყოფას, მედიკამენტებისა და მკურნალობის საფასურის ანაზღაურებას, სარიტუალო მომსახურების დაფინანსებას, სათბობის (შეშა), კვების პროდუქტების გამოყოფას და სხვ. რადგან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები სრულდება საკასო მეთოდით და აღნიშნული დახმარებებისათვის მუნიციპალიტეტი გამოყოფს ფულად რესურსს, სხვა სოციალურ (დახმარების) ღონისძიებებს, აუდიტის ობიექტი, როგორც წესი, აფინანსებს „სოციალური დახმარების“ მუხლით.

2017 წელს, აღდგომისა და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის ნაძალადევის, გლდანის, დიდუბის და მთაწმინდის რაიონებმა შეისყიდეს სხვადასხვა საკვები პროდუქტი. პროდუქტები, სასაჩუქრე პაკეტების სახით, განკუთვნილი იყო აღნიშნულ რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი პირებისათვის (მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები, უფასო სასადილოს ბენეფიციარები, ომის ვეტერანები და სხვ.) შესყიდვის ჯამურმა ღირებულებამ 717.0 ათასი ლარი შეადგინა³⁵.

³⁴ NAT160004082.

³⁵ გლდანის რაიონი – 212.5 ათასი ლარი, NAT170002024, NAT170013812; ნაძალადევის რაიონი – 269.7 ათასი ლარი, NAT170001841, NAT170013822; დიდუბის რაიონი – 172.3 ათასი ლარი, NAT170002543, NAT170013827; მთაწმინდის რაიონი – 112.3 ათასი ლარი, NAT170002291, NAT170013826.

სოციალური პროგრამების ფარგლებში, გლდანის რაიონის გამგეობამ რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოქალაქეებისათვის ასევე შეისყიდა საწვავი ხის მასალა – შეშა. ხელშეკრულების საკასო ხარჯია 52.7 ათასი ლარი.

სოციალურად დაუცველი პირებისათვის განკუთვნილი სასაჩუქრე პაკეტი და შეშა დაფინანსებულია 06 02 18 პროგრამული კოდით – „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები“. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო ასიგნება გამოიყო „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლით იმ მოტივით, რომ მწარმოებლებიდან საქონლის შესყიდვა განხორციელდა საბაზრო წესით, საოჯახო მეურნეობებზე გადასანაწილებლად. ამ შემთხვევებში მიზანშეწონილი იყო „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის გამოყენება.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დანართ №3-ში („ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“) – „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ და შესაბამისად, „სხვა ხარჯების“ მუხლები გაზრდილია 769.7 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

2.1 სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი

გარემოება: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად³⁶, ოფისის ხარჯი მოიცავს მხარჯავი დაწესებულების საოფისე საქმიანობისა და მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მათ შორის, „საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებში“ შედის „საოფისე ავეჯის“, „რბილი ავეჯის“, „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის“ (სამზარეულოს ინვენტარი, ტანსაცმლის საკიდი, ბეჭედი/შტამპი, მაგიდის სანათი, სურათი და ჩარჩო, საათი, ცეცხლგამძლე კარადა (სეიფი)) და „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი“.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში – „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის“ მუხლის შესრულება 1,238.8 ათასი ლარია. აღნიშნული მუხლით შესყიდულია სულ 655.1 ათასი ლარის ღირებულების საპარკე სკამები, დეკორაციული სანათები და სანათის დგარები, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერები, სანაგვე ურნები და სხვა საქონელი³⁷. აღნიშნული მუხლი ასევე გამოყენებულია მემორიალური დაფების დამზადება-მოწყობის 3.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების დასაფინანსებლად³⁸. შესყიდვის ობიექტები არ წარმოადგენს საოფისე ინვენტარს და არ უკავშირდება მუნიციპალიტეტის საოფისე საქმიანობას. ამდენად, ხარჯების დასაფინანსებლად მიზანშეწონილი იყო „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლის გამოყენება.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში – „სხვა საოფისე ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის“ მუხლი გაზრდილია 658.1 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლი.

2.2 ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი

გარემოება: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯები“ გულისხმობს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების საგნების და მასალების შეძენის ხარჯს.

³⁶ დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით.

³⁷ თბილისის მერია – 129.0 ათასი ლარი, NAT170003277, NAT170003250, NAT170003279, NAT170006783; ნაძალადევის რაიონი – 83.1 ათასი ლარი, NAT170001506; ჩუღურეთის რაიონი – 46.0 ათასი ლარი, NAT170002652, NAT170007675, NAT170012402, NAT170009638; ვაკის რაიონი – 84.4 ათასი ლარი, NAT170010301, NAT170001262; საბურთალოს რაიონი – 110.7 ათასი ლარი, NAT170004508, NAT170006744, NAT170007920; ისნის რაიონი – 30.9 ათასი ლარი, NAT170003653; კრწანისის რაიონი – 139.2 ათასი ლარი, NAT170002601, NAT170004853, NAT170002512, NAT170002878, NAT170006940, გლდანის რაიონი – 31.8 ათასი ლარი, NAT170006166. პროგრამული კოდები: 02 07, 02 09, 03 01.

³⁸ თბილისის მერია – NAT170001031.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილი ფორმით – „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების“ მუხლის შესრულება 338.4 ათასი ლარია. აღნიშნული მუხლით მუნიციპალიტეტი აფინანსებს მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის, მაგნიტური ბარათების, პირადი ჰიგიენის საშუალებების, მცირე საოფისე მოწყობილობების შესყიდვის ხარჯებს და სხვ.

-) მუნიციპალიტეტმა 2017 წელს შეისყიდა 2250 ერთეული ერთჯერადი გამოყენების ბეიჯი, სხვადასხვა ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. სულ გადახდილმა თანხამ შეადგინა 3.8 ათასი ლარი³⁹. აქედან, 1.9 ათასი ლარი – 2017 წლის 6 აპრილს, 2 ივნისს და 6 ოქტომბერს დაფინანსებულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით, ხოლო 13 ოქტომბერს და 28 დეკემბერს – 1.9 ათასი ლარი, „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების“ მუხლით;
- ღონისძიებების მონაწილეებისათვის განკუთვნილი ბეიჯები არ წარმოადგენს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო საგნებს. ხარჯების დასაფინანსებლად მიზანშეწონილი იყო „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლის გამოყენება;
-) კრწანისის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია 4.6 ათასი ლარის ღირებულების გოფრირებული მილი და ელექტროკაბელი⁴⁰. პასუხისმგებელმა პირებმა ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებები, რომ სამეურნეო დანიშნულების საგნები გამოყენებულია ოფისისათვის. ამდენად, შესყიდვა უნდა დაფინანსებულიყო „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების გადასახდელების ჩაშლილ ფორმაში – „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 6.5 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლი.

2.3 პროცენტი საშინაო ერთეულებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა

გარემოება: პროცენტი გადასახდელია, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან. პროცენტი საშინაო ერთეულებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა, წარმოადგენს ისეთ გადასახდელს, რომელსაც დებიტორი უხდის საშინაო ერთეულს, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულს⁴¹.

³⁹ CMR170078381 – 0.1 ათასი ლარი, CMR170211127 – 1.1 ათასი ლარი, NAT170003726 – 2.6 ათასი ლარი.

⁴⁰ CMR170072676 – 0.5 ათასი ლარი, CMR170056371 – 0.1 ათასი ლარი, CMR170109461 – 4.0 ათასი ლარი.

⁴¹ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილი ფორმის შესაბამისად, მუხლიდან „პროცენტი საშინაო ერთეულებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა“ გადახდილია 1,213.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები გადარიცხულია სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის სესხზე დარიცხული პროცენტის სახით. ფონდი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულს⁴². ამდენად, ხარჯების დასაფინანსებლად მიზანშეწონილი იყო „პროცენტი სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე“ მუხლის გამოყენება.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების გადასახდელების ჩაშლილ ფორმაში „პროცენტი საშინაო ერთეულებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა“ მუხლი გაზრდილია 1,213.9 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „პროცენტი სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე“.

2.4 სოციალური დახმარება – სასაქონლო ფორმით

გარემოება: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სოციალური დახმარება იყოფა მუხლებად: „სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით“ და „სოციალური დახმარება – სასაქონლო ფორმით“.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილი ფორმით, „სოციალური დახმარება – სასაქონლო ფორმით“ მუხლის შესრულება 30.0 ათასი ლარია. აღნიშნული თანხა მთლიანად მიმართულია ფიზიკური პირის საზღვარგარეთ მკურნალობის დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაში არ არის გამოყენებული მუხლი „სოციალური დახმარება – ფულადი ფორმით“. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაშვებულია მექანიკური ცდომილება.

გავლენა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში მუხლი „სოციალური დახმარება – სასაქონლო ფორმით“ გაზრდილია 30.0 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „სოციალური დახმარება – ფულადი ფორმით“.

2.5 არაერთგვაროვანი მიდგომა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულებისა და ფუნქციების გადანაწილების პრინციპის შესაბამისად, სახაზინო განყოფილება ფუნქციურად აკონტროლებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების საქმიანობას და უნდა უზრუნველყოფდეს ერთიანი საგადამხდელო მიდგომების ჩამოყალიბებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლობრივ შერჩევაში.

⁴² საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია და ის არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მიუხედავად ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა ცალკეულ გადასახდელებთან დაკავშირებით, მაგალითად:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონებმა შეისყიდეს ფიტნესტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები, თანმდევი მომსახურებით, რაც ითვალისწინებდა ტრენაჟორებისთვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის მოწყობას. ტექნიკური დავალება, ფასების ცხრილი და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენდა ტიპურ სატენდერო დოკუმენტაციას და ერთნაირი იყო რაიონებისათვის. სამუშაოს მიწოდებისა და ანგარიშსწორების პროცესში რაიონებმა გამოიყენეს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლები:

- გლდანის რაიონმა ფიტნესტრენაჟორები შეისყიდა 3 ხელშეკრულებით⁴³. ხელშეკრულებების ჯამური საკასო ხარჯია 465.1 ათასი ლარი. აქედან 265.6 ათასი ლარი, ტრენაჟორების ღირებულების სახით, დაფინანსებულია მუხლით „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“. 199.5 ათასი ლარი ფანჩატურის მოწყობისათვის გაცემულია „სხვა შენობა-ნაგებობების“ მუხლით;
- ვაკის რაიონმა ფიტნესტრენაჟორები შეისყიდა 2 ხელშეკრულებით⁴⁴. ხელშეკრულებების ჯამური საკასო ხარჯია 278.9 ათასი ლარი. ტრენაჟორების ღირებულებაც და ფანჩატურის მოწყობაც დაფინანსებულია მუხლით „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“;
- დიდუბის რაიონმა ფიტნესტრენაჟორები შეისყიდა 2 ხელშეკრულებით⁴⁵. ხელშეკრულებების ჯამური საკასო ხარჯია 305.4 ათასი ლარი. რაიონმა ერთობლიობიდან გამოყო 500 ლარზე ნაკლები ღირებულების ტრენაჟორები, ღირებულებით – 5.5 ათასი ლარი და დააფინანსა მუხლით – „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი“. სხვა ტრენაჟორებისა და ფანჩატურის მოწყობა, ღირებულებით – 299.9 ათასი ლარი, გატარებულია მუხლით – „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“;
- ჩუღურეთის რაიონმა ფიტნესტრენაჟორები შეისყიდა 3 ხელშეკრულებით⁴⁶. ხელშეკრულებების ჯამური საკასო ხარჯია 83.4 ათასი ლარი. დაფინანსება გაცემულია მუხლით – „სპორტული საქონელი“;

⁴³ NAT170011739, NAT170011089, NAT170000412.

⁴⁴ NAT170004040, NAT170010997.

⁴⁵ NAT170004214, NAT170011818.

⁴⁶ NAT170001577, NAT170005814, NAT170007649.

- ისნის რაიონმა ფიტნესტრენაჟორები შეისყიდა 1 (ერთი) ხელშეკრულებით⁴⁷. ხელშეკრულებების საკასო ხარჯი – 53.1 ათასი ლარი, დაფინანსებულია „სხვა შენობა-ნაგებობების“ მუხლით.

ამდენად, მუნიციპალიტეტის ხუთმა მხარჯავმა დაწესებულებამ, შესყიდვის ერთი და იმავე ობიექტის დასაფინანსებლად, გამოიყენა 5 სხვადასხვა საანგარიშსწორებო პოლიტიკა, რაც არ გასწორდა შესაბამისი სამსახურის მიერ.

- მუნიციპალიტეტის მერია, როგორც წესი, საკანალიზაციო და ღვარსადენ სისტემებს მიიჩნევს საკუთარ აქტივად. აღნიშნული სისტემების მოვლა-პატრონობა და მოწყობა-რეაბილიტაცია შესაბამისად ფინანსდება „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით⁴⁸. გლდანის, ჩულურეთის და ისნის რაიონები სავარაუდოდ თვლიან, რომ იგივე სისტემები არ წარმოადგენს მათ საკუთრებას. შესაბამისად, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს აფინანსებენ „სხვა ხარჯების“ მუხლით, სამუშაოების გამიჯვნის შესაძლებლობის და სისტემის ადგილმდებარეობის მიუხედავად⁴⁹;
- ნაძალადევის რაიონმა საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის თეატრალურ წარმოდგენაზე დასწრებისათვის და ბავშვებისათვის ცირკის ბილეთების შესყიდვა დააფინანსა „სხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენ მიმდინარე ხარჯების“ მუხლით⁵⁰; ვაკის რაიონმა ბავშვებისათვის ცირკის ბილეთების შესასყიდად გამოიყენა „კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების“ მუხლი, ხოლო სამგორის რაიონმა საახალწლო პროგრამაზე დასასწრები ბილეთებისათვის – „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლი. ამდენად, ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების დაფინანსებისას გამოყენებულია სამი სხვადასხვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი;
- 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის მერია „კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების“ მუხლით აფინანსებდა კულტურის საქალაქო ღონისძიებებს. შესყიდვის ჯამური ღირებულება 1,011.0 ათასი ლარია. დეკემბერში მუნიციპალიტეტმა მსგავსი შინაარსის შესყიდვის ობიექტების მიწოდება ანაზღაურა მუხლიდან – „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“, ღირებულებით – 858.5 ათასი ლარი;

⁴⁷ NAT170004822.

⁴⁸ NAT160004057, NAT170002336, NAT170001038, NAT170009806 და სხვ.

⁴⁹ NAT170002811, NAT160004082, DAP160000006.

⁵⁰ CMR170104073, CMR170109192, CMR170215662.

2017 წლის დეკემბერში ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის შობა-ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით შეისყიდა:

- ალტერნატიული მუსიკის/დიჯეების კონცერტების ორგანიზების მომსახურება⁵¹;
- მინი – წარმოდგენების მომსახურება⁵².

ღონისძიებებს ჰქონდა მსგავსი შინაარსი და წარმოადგენდა საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით მომზადებული გასართობ-სანახაობითი პროგრამის ნაწილს, რაც 2017 წელს დაფინანსებულია 63.8 ათასი ლარით. ანგარიშსწორებისას მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვადასხვა მიდგომა. კერძოდ, ალტერნატიული მუსიკის/დიჯეების კონცერტების ორგანიზების მომსახურება დაფინანსდა „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების“ მუხლიდან, ხოლო მინი – წარმოდგენების მომსახურების შესყიდვა – „კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების“ მუხლით;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, სამგორის, ისნისა და ჩუღურეთის რაიონები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასაჩუქრე პაკეტების შეძენას და სათბობის (შეშა) მიწოდებას აფინანსებენ მუხლით – „სოციალური დახმარება ფულადი ფორმით“. იმავე შესყიდვებისათვის ნამალადევის, გლდანის, დიდუბის და მთაწმინდის რაიონებში გამოყენებულია მუხლი „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები“.

მიზანშეწონილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის შესრულების პროცესში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას და არჩეული საბიუჯეტო აღრიცხვის პოლიტიკის დაცვას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

⁵¹ CMR170215244, CMR170215223.

⁵² CMR160223636.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასება

აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შეიცავს შემდეგ უზუსტობებს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში
დანართი №3. „ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“ (ათასი ლარი)

კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	წარმოდგენილი ოდენობა	სწორი ოდენობა	სხვაობა
2	ხარჯები	580,886	577,029	3,857
2.2	საქონელი და მომსახურება	117,445	116,756	689
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	156,383	157,153	-770
2.8	სხვა ხარჯები	123,155	119,217	3,938
2.8.2.1	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	41,923	40,872	1,051
2.8.2.2	სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	81,232	78,345	2,887
	საოპერაციო სალდო	206,315	202,458	3,857
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	111,742	115,599	-3,857

დანართი №4. „ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის მიერ 2017 წელს მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები“ (ათასი ლარი)

ორგანიზაცია	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	წარმოდგენილი ოდენობა	სწორი ოდენობა	სხვაობა
ა(ა)იპ – თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია	საქონელი და მომსახურება	927	924	3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	401	404	-3
ა(ა)იპ – თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	სხვა ხარჯები	373	8	365
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,901	11,266	-365
ა(ა)იპ – ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ჯაჭვის №5 ხელოვნების სკოლა	სხვა ხარჯები	4.4	0.4	4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5	9	-4
ა(ა)იპ – პეტრე ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლა	სხვა ხარჯები	5	1	4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3	7	-4

4. სახელმწიფო სახაზინო სამსახური

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური უფლებამოსილია გასცეს მეთოდური მითითებები სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელებისას. მოქმედი ინსტრუქციით⁵³, ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში არეგისტრირებს საგადახდო მოთხოვნას, რომელსაც სახაზინო სამსახური ადასტურებს აღებული ვალდებულების და დარიცხული ოპერაციის ფარგლებში. არასრულად ან/და არასწორად შევსებული საგადახდო მოთხოვნა უბრუნდება ორგანიზაციას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა განმარტებები, რომ დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველებში აღწერილი ზოგიერთი შემთხვევისთვის კლასიფიკატორის მუხლი შეირჩა სახელმწიფო ხაზინასთან შეთანხმებით ან მათ მიერ განსაზღვრული სწორი ოპერაცია სამსახურმა დაიწუნა და უკან დააბრუნა, მაგალითად:

- ქ. თბილისის მასშტაბით ახალი გარე განათების სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოები⁵⁴, აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, არასწორად დაფინანსდა „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სამუშაოები, სახელმწიფო ხაზინასთან შეთანხმებით, განიხილეს როგორც ხარჯების კატეგორია.
- დიდუბის რაიონმა შეისყიდა არაკუთვნილი შენობა-ნაგებობების, აივნების, პარაპეტების ნაწილობრივი დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების, სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანის და სხვა თანმდევი სამუშაოები⁵⁵. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, ხელშეკრულებების შესრულება არასწორად დაფინანსდა „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუხლი გამოყენებულია სახაზინო სამსახურის მითითებით.
- 680.5 ათასი ლარის ღირებულების საპარკე სკამები, დეკორაციული სანათები და სანათის დგარები, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერები და სანაგვე ურნები⁵⁶, აგრეთვე 3.0 ათასი ლარის ღირებულების მემორიალური დაფების დამზადება-მოწყობა⁵⁷ დაფინანსებულია,

⁵³ „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ - დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით.

⁵⁴ NAT170000571.

⁵⁵ NAT170004694; NAT170000121.

⁵⁶ თბილისის მერია – 148.9 ათასი ლარი, NAT170003277, NAT170003250, NAT170003279, NAT170006783; ნაძალადევის რაიონი – 83.1 ათასი ლარი, NAT170001506; დიდუბის რაიონი – 5.5 ათასი ლარი, NAT170004214; ჩუღურეთის რაიონი – 46.0 ათასი ლარი, NAT170002652, NAT170007675, NAT170012402, NAT170009638; ვაკის რაიონი – 84.4 ათასი ლარი, NAT170010301, NAT170001262; საბურთალოს რაიონი – 110.7 ათასი ლარი, NAT170004508, NAT170006744, NAT170007920; ისნის რაიონი – 30.9 ათასი ლარი, NAT170003653; კრწანისის რაიონი – 139.2 ათასი ლარი, NAT170002601, NAT170004853, NAT170002512, NAT170002878, NAT170006940, გლდანის რაიონი – 31.8 ათასი ლარი, NAT170006166.

⁵⁷ თბილისის მერია – NAT170001031.

როგორც საოფისე ინვენტარი, რაც აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით არასწორია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ასიგნებებისათვის „სხვა საოფისე ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის“ მუხლი გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეთოდოლოგიური რეკომენდაციით. კერძოდ, წარმოდგენილია 2017 წლის 16 ივნისის №279 ვალდებულება, სადაც მემორიალური დაფის მოწყობის მიზნით, ოპერაციის განხორციელებისას თავდაპირველად არჩეულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლი. ოპერაცია დაწუნებულია სახელმწიფო ხაზინის მიერ და მითითებულია, რომ მემორიალური დაფა არის ინვენტარი.

- 2250 ერთეული ერთჯერადი გამოყენების ბეიჯის შესყიდვა, ღირებულებით 3.8 ათასი ლარი⁵⁸, 3 შემთხვევაში დაფინანსდა „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით, ბოლო 2 შემთხვევაში კი გამოყენებულია მუხლი – „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯები“. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუხლის ცვლილება განხორციელდა სახაზინო სამსახურის მითითებით და სხვ.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ზოგიერთ შემთხვევაში დანახარჯის მუხლის შერჩევისას შეუსაბამოები გამოწვეულია იმით, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაცია ყველა მუხლს არ განმარტავს კონკრეტულად ან სახელმწიფო ხაზინის მეთოდოლოგიური ხედვა განსხვავდება კლასიფიკაციის შინაარსისაგან. რადგან სახელმწიფო ხაზინა გასცემს მეთოდოლოგიურ მითითებებს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სახელმწიფო ხაზინასთან ერთად იმსჯელონ (მათ შორის, წერილობითი ფორმით) ისეთ შემთხვევებზე, როცა მუხლობრივი კლასიფიკაცია არ არის საკმარისად/შესაფერისად დაკონკრეტებული, მოითხოვს დაზუსტებას ან არ შეესაბამება სახელმწიფო ხაზინის ხედვას. საჭიროების შემთხვევაში, მიზანშეწონილია საბიუჯეტო კლასიფიკაციაში ცვლილების ინიცირების საკითხის განხილვაც.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგებაზე

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის მომზადებასა და მის წარდგენაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

⁵⁸ CMR170078381 – 0.1 ათასი ლარი, CMR170211127 – 1.1 ათასი ლარი, NAT170003726 – 2.6 ათასი ლარი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული მაჩვენებლების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისი თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტორთა ხელმოწერა
სახელი, გვარი

ხელმოწერა


ზურაბ ჩაფიჩაძე
(წამყვანი აუდიტორი)

თეა არველაძე
(უფროსი აუდიტორი)

ბარამ ონიანი
(უფროსი აუდიტორი)

ქრისტინე ეკალაძე
(უფროსი აუდიტორი)

თამთა გელაშვილი
(აუდიტორი)



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE